პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

19 აპრილი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 76 (9748) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა კავშირის მოქალაქენო, გაზარდეთ ურთიერთმოთხოვნელობა და პირადი პასუხისმგებლობა, განავითარეთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, დემოკრატია და საჯაროობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის საპირველმაისო მოწოდებიდან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სახ. სახ. ეროვ. ბიბლიოთეკა

თბილისში გრძელდება სტუდენტთა „გიგანტური თამაშების“ პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები თბილისის უნივერსიტეტისა და სპორტის გუნდებს შორის. აპრილის მესამე კვირა დღე ცურვას დაეთმო. გაიმარჯვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.

თამაშებმა საგრძნობლად გამოაცოცხლა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ამ ორ უმაღლეს სასწავლებელს შორის.

მომავალ კვირას ასპარეზობა გაიმართება პროგრამის ბოლო სახეობაში — მინიფეხბურთში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი

ალბერტ კაზანჯიანი — გამარჯვებული

სენ-ნაზარი (საფრანგეთი). საფრანგეთის ამ ქალაქში დამთავრდა მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ბრწყინვალედ გამოვიდა სსრ კავშირის ნაკრები. მან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა გუნდურ ჩათვლაში.



კარგად ჩაატარა მთელი ტურნირი, და განსაკუთრებით ბოლო შეხვედრა, თბილისელმა ალბერტ კაზანჯიანმა (54 კგ). ფინალში მან ვენესუელელ ჰოსე ერნანდესს აჯობა და ტურნირის ერთ-ერთი პრიზი დაისაკუთრა.

სხვა წონით კატეგორიაში საერთაშორისო შეჯიბრების ჩემპიონები გახდნენ: ნშან მუნჩიანი (48 კგ, ერევანი), დავიდ გრიმანი (51 კგ, ვენესუელა), აირატ ხამატოვი (57 კგ, ყაზანი), ანდრეას ზიულოვი (60 კგ, გდრ), ლიუდოვიკ პროტო (63,5 კგ, საფრანგეთი), ლორან ბუდონი (67 კგ, საფრანგეთი), ევგენი ზაიცევი (71, ჯამბული), ანდრეი კურნიავკა (75 კგ, ფრუნზე), იური ვაულინი (81, რიგა), არნოლდ ვან დერ ლეიდე (91 კგ, ჰოლანდია), ული კადენი (მძიმე, გდრ).

როცა უძლიერესი ცნობილია

ბაკოში დასასრულს მიუახლოვდა 16 და 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი. ორი ტურიც და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან აზერბაიჯანში ჩასული თოთხმეტი ნიჭიერი ახალგაზრდა დაემშვიდობება გულთბილ მასპინძლებს, ზოგი გახარებული, უმეტესობა კი გულდაწყვეტილი დაბრუნდება შინ. გახარებულთა შორის უთუოდ იქნება გარდაბნელი ოსტატი ქეთევან კახიანი, რომელმაც პრაქტიკულად გაინაღდა I ადგილი და ახლა მხოლოდ „ზრდილობის გულისთვის“ თუ თამაშობს ტურნირის დასკვნით პარტიებს. ბუნებრივია, ასეთ მდგომარეობაში ძნელია მოგებაზე თამაში და ამიტომაც ქეთევანი იოლად უთანხმდება თავის მეტოქეებს ქაიმზე. X და XI ტურებში ივი დაუზავდა ბელორუსიის წარმომადგენელ იულია ლევიტანს და ლიტველ ლაიმა დომარკაიტეს.

კვლავ მეორე საფეხურზე „დაბრუნდა“ ბაქოელი აინურ სოფიევა. მან ჯერ მოსკოველ მარინა სოკო-

იხ. მე-3 გვ.

პირველწყაროდან

ა. ჩივაძეს საბერძნეთში იწვევენ

რედაქციისთვის ცნობილი გახდა, რომ თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის კაპიტანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ა. ჩივაძეს უცხოეთში იწვევენ სათამაშოდ. გუშინ დავუკავშირდით საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს ა. ჭკუასელს. აი, რა თქვა მან:

— ამ დღეებში ვესაუბრე საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს უფროსს ვ. კოლოსკოვს, რომელმაც ახალი ამბავი შეგვატყობინა — ა. ჩივაძეს თავის კლუბში სათამაშოდ იწვევს საბერძნეთის „პანათინაიკოსი“. ჩვენს ფეხბურთელს საუკეთესო პირობებს სთავაზობენ, რაც კი დღემდე სხვა საბჭოთა ფეხბურთელებისათვის შეუთავაზებიათ. ეს გამოწვეულია იმით, რომ საბერძნეთის ფეხბურთის მოყვარულებში ა. ჩივაძეს დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული.

საკითხი შეთანხმების პროცესშია. გადამწყვეტი სიტყვა, ცხადია, თვით ა. ჩივაძეს ეკუთვნის.

არ არის გამორიცხული, რომ რ. შენგელიაც მიიწვიონ უცხოეთში. კერძოდ, ამის თაობაზე წინადადება აქვს ავსტრიის ერთ-ერთ საფეხბურთო კლუბს.

ფეხბურთის მოყვარულებმა, რა თქმა უნდა, იციან, რომ ავსტრიის კლუბებში გამოდიან ჩვენი ცნობილი ფეხბურთელები ს. შავლო და ო. ბლოხინი. როგორც ცნობილი გახდა, უცხოეთის გუნდებში ითამაშებენ სხვა ჩვენი ფეხბურთელებიც. ლ. ბურიაკი (რომელიც ამჟამად ხარკოვის „მეტალისტში“ გამოდის) და ი. გავრილოვი (ამჟამად მოსკოვის „ლოკომოტივში“ ირიცხება) მოთამაშე მწვრთნელებად მიიწვიეს ფინეთში, მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელი ვ. ხიდიატულინი კი ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ საფრანგეთის „ტულუზაში“ გადავა.

გასულ კვირას თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი ცხენოსნობის კლასიკურ სახეობაში—დაბრკოლებათა გადალახვაში. აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა ზუგდიდელმა მხედარმა, სპორტის ოსტატმა ოთარ ჯაფარიძემ.

წერილს ამ ასპარეზობის შესახებ „ლელოს“ უახლოეს ნომერში შეიტანთ. (თ. ქიქავას ფოტო).



წოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

ძალოსნობაში — ბიძინა მიქიაშვილს, გოჩა ჭიტაძეს (ორივე — თბილისი, ასკ).

მძლეოსნობაში — ვიქტორ პაშკულსკის, იოსებ შავერდაშვილს, ვალერი გედევანიშვილს (სამივე — თბილისი, პროფკავშირები).

თანამედროვე ხუთჭიდში — ვლადიმერ ლორთქიფანიძეს (თბილისი, „დინამო“), ვლადიმერ გალდავას (რუსთავი, „დინამო“).

ტყვიის სროლაში — გიორგი კულუმბეგოვს (თბილისი, დოსაააფი),

მაგიდის ჩოგბურთში — ვლადიმერ ივანჩიკოვს (თბილისი, პროფკავშირები).

ანონსი!

რამ გაგახარათ, რამ დაგწყვიტათ გული?

ძვირფასო მკითხველო! თქვენთან ურთიერთობა დიდად ეხმარება რედაქციის კოლექტივს მუშაობაში. ეს ბუნებრივიცაა — გაზეთი ხომ მკითხველით ცოცხლობს.

სარედაქციო ფოსტა, რომელშიც შეკითხვები უფრო სჭარბობს, საგრძნობლად გაიზარდა, მაგრამ რედაქციას ისიც აინტერესებს, რომელმა გუნდმა ან სპორტსმენმა მოგანიჭათ სიხარული და ვინ გაგაწბილათ, „ლელოს“ რომელ წერილს იწონებთ ან არ იწონებთ, რაში არ გვეთანხმებით. თქვენი წინადადებები, შენიშვნები და შეფასებები შესაძლებლობას მოგვცემს შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი, სამშაბათობით კი „ლელოს“ ფურცლებზე გამოვაქვეყნებთ შემაჯამებელ წერილს. პირველ პუბლიკაციას დღეს სწორს შემოგვთავაზებთ.

მაშ ასე, თქვენს წერილებში უნდა სჩანდეს: 1. ვისმა წარმატებამ გაგახარათ ყველაზე მეტად და ვისმა წარუმატებლობამ დაგწყვიტათ გული ერთი კვირის განმავლობაში? 2. რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის რომელი მოვლენა მიგაჩნიათ აღნიშვნისა და მხარდაჭერის ღირსად? 3. დაასახელეთ „ლელოს“ ის პუბლიკაცია, რომელიც თქვენ მოგეწონათ, ან, ვთქვათ, არ მოგეწონათ. შეგიძლიათ დაგვირეკოთ ტელეფონით — 93-97-59, 99-56-14.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

საქართველოს სპორტსახკომის პრიზზე

დიდი რეგბის მასპინძლები

16 აპრილს ვანსა და გეგეჭკორში ბაიმართა რეგბისტთა ოთხი ნაკრების ტურნირის კიდევ ორი მატჩი.

ვანის „სალხინოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ნაკრები და ქუთაისის ახალგაზრდული გუნდი. ანგარიშით 30:12 გაიმარჯვა რესპუბლიკის ნაკრებმა. უფროსებმა (ნემსიწვერიძემ, ლიპარტელიანმა, ჟორჟოლიანმა, დეისაძემ, ხარშილაძემ და ძოწენიძემ) 6 ლელო გაიტანეს ახალგაზრდა მეტოქეთა კარში.

ლელობურთელებით ცნობილ გეგეჭკორში, სადაც პირველად ჩატარდა რეგბისტთა მატჩი, ითამაშეს საბჭოთა კავშირის და რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა გუნდებმა. თამაში უაღრესად დაძაბულად წარიმართა და ქვეყნის პირველი გუნდის გამარჯვებით დასრულდა — 38:12. საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ ქართველი რეგბისტებიც — მცველი ნუგზარ ძაგნიძე, შერკინების ნახევარმცველი მამუკა ლოსაბერიძე და მარჯვენა ბურჯი ბესარიონ ლილუაშვილი. განსაკუთრებით კარგად ითამაშა ლოსაბერიძემ, რომელმაც 2 ლელო გაიტანა. სპეციალისტების აზრით, იგი მალე დაიმკვიდრებს ადგილს საკავშირო ნაკრებში.

დღეს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები.

თამაზ კოლხიდელი.
(„ლელოს“ ხაკ. კორ.).

ქუთაისი.

ჭაბუკი რაინდები თბილისში იკრიბებიან

20 აპრილს თბილისში დაიწყება თანამედროვე ხუთჭიდში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ჭაბუკთა შორის. ჩვენს დედაქალაქში საასპარეზოდ ჩამოვიდნენ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები, ისინი, ვინც მომავალ ოლიმპიურ ციკლში დიდ სპორტულ სარბიელზე უფროსებს შეცვლიან. პირველ დღეს 10 საათიდან ხუჭიდელები ფარიკაობაში იასპარეზებენ ასკ-ს სპორტულ დარბაზში. 21 და 22 აპრილი ცხენოსნობას დაეთმობა. ეს შეჯიბრება თბილისის იპოდრომზე ჩატარდება და დაიწყება 11 საათზე. 23 აპრილს, 12 საათიდან პაექრობა ვაკის საცურაო აუზში გაგრძელდება. 24 აპრილს სროლაა, ასკ-ს ტირში 10 საათიდან. ბოლო დღეს, 25 აპრილს კი ასპარეზობა დასრულდება მძლეოსნური კროსით და გამოვლინდება გამარჯვებული. ეს შეჯიბრება ჩატარდება პროფკავშირების მძლეოსნობის მანეჟში 11 საათიდან.

სპორტის ახალი სახეობა

რა არის ნატურბანი?

საციგაო სპორტის ერთ-ერთი ნაირსახეობა, რომელიც დიდად გავრცელდა ევროპაში (განსაკუთრებით მის სამშობლოში იტალიაში, აგრეთვე ავსტრიაში, შვეიცარიაში, შვეციაში, ნორვეგიაში — სულ მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში) ნატურბანის სახელითაა ცნობილი. (სიტყვა-სიტყვით „ნატურალური გზა"). განზრახულია ნატურბანში საჩვენებელი შეჯიბრების ჩატარება 1992 წლის თეთრ ოლიმპიადაზე, შემდგომში კი იგი, ალბათ, ოლიმპიურ პროგრამაშიც შევა. რას წარმოადგენს ნატურბანი? ესაა შეჯიბრება ციგით, მხოლოდ, ასე ვთქვათ, ნატურალურ, ბუნებრივ ტრასაზე. მისი სიგრძე ჩვეულებრივ 1000 მეტრია, სიმაღლეთა სხვაობა არანაკლები 100 მეტრისა, ხოლო მოსახვევთა (ვირაჟები) რაოდენობა არანაკლებ 10-სა. კონსტრუქციულად ნატურბანის ციგა ოდნავ განსხვავდება სპორტული ციგისაგან, მისი ლითონის ზოლურები („პოლოზია") ბევრად უფრო ბასრია, რათა ციგამ მჭიდროდ „მოიკიდოს ფეხი" ყინულზე.

1984 წლიდან ნატურბანმა „მოქალაქეობრიობა" ჩვენს ქვეყანაშიც ჰპოვა (მურმანსკი, ჩელიაბინსკი, პერმი, ირკუტსკი და სხვა). ქვეყნის ნაკრები ამ სახეობაში უკვე გამოვიდა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, საერთაშორისო ტურნირებში.

საქართველოში ნატურბანის დანერგვა პრაქტიკულად მიმდინარე წელს დაიწყება, როდესაც ბაკურიანში, უფრო ზუსტად კი სოფელ ციხისძირში გაიკრა შესაფერისი ტრასა. ახლა ენთუზიასტებს სურთ ასეთივე ტრასა თვით ბაკურიანში, სასწავლო-სავარჯიშო ცენტრის მიდამოებში მოაწყონ. აღსანიშნავია, რომ ნატურბანისათვის ჩვენში ყველა პირობა არსებობს — მთიან რეგიონებში, მოგეხსენებათ, ბუნებრივი ტრასისათვის ადგილის შერჩევა ძნელი საქმე არაა, საჭიროა მცირეოდენი მომზადება და გზის გაყინვა,

ჩვენმა ნატურბანისტებმა ამას წინათ მონაწილეობა მიიღეს პირველ ოფიციალურ შეჯიბრებაში — სსრ კავშირის პირველ ჩემპიონატში, რომელიც კანდალაკშაში (მურმანსკის ოლქი) გაიმართა. საქართველოს ნაკრების მწვრთნელია სსრ კავშირის 1975 წლის ჩემპიონი საციგაო სპორტში, სპორტის ოსტატი ფელიქს ქუმარიტაშვილი.

გვინდა გამოვთქვათ რწმენა, რომ ამ საინტერესო და საკმაოდ იაფ, ყველასათვის ხელმისაწვდომი სპორტის სახეობით, ალბათ, დაინტერესდებიან რესპუბლიკის სხვა მთიანი რეგიონებიც (მესტია, რაჭა, ბოგდანოვკა, ახალციხე, ახალქალაქი, გუდაური) აგრეთვე პროფკავშირთა და „დინამოს" სპორტსაზოგადოებები (დღეს იგი მხოლოდ „შრომით რეზერვებშია") და მწვანე შუქს მისცემენ გაბედულთა, ძლიერთა, მოქნილთა ამ ახალ სპორტის სახეობას — ნატურბანს.

ოთარ ოთარაშვილი.

P.S. ორიოდე დღის წინ ბაკურიანში ამ ახალ სახეობაში რესპუბლიკის პირველი ჩემპიონატი ჩატარდა. ვაჟებში უძლიერესი იყო თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სტუდენტი ედუარდ ყოროშვილი, ხოლო იუნიორებში — 15 წლის ბაკურიანელი მოსწავლე, მეცხრეკლასელი თენგიზ აკოფოვი.

მოკლედ

ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარის კულტურის სახლში დამთავრდა სოფლის პირველობა ჭადრაკში. ვაჟებში I ადგილი კოხნარის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა დ. ვაჩეიშვილმა დაიკავა. ქალთა შორის ყველას აჯობა საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მ. ოსეფაიშვილმა.

დავით გურგენიძე,
„ლელოს" კორ.

ლაბტის ფრეში

ვაი, ყოფასა ასეთს...

ანუ იმის შესახებ, თუ როგორ გამოიყურება გლდანის სპორტული ინტერნატი
ლა-ინტერნატის მატერიალური ბაზა

1966 წელს თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდნენ გდრ-ის სპორტის მუშაკები, რათა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში შექმნილი სპორტული ინტერნატის მოდელსა და მუშაობის გამოცდილებას გასცნობოდნენ. თბილისის მაგალითზე მათაც შექმნეს ამგვარი სასწავლებლები. და აი, 70-იანი წლებიდან გერმანელი სპორტსმენები სტაბილურ წარმატებებს აღწევენ ბევრ სახეობაში, ბოლო ოლიმპიადებში კი ისინი საპრიზო ადგილების უმთავრესი პრეტენდენტები არიან. უთუოდ მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ, მაგალითად, 1976 წელს გდრ-ის ნაკრები გუნდების წევრთა თითქმის 95 პროცენტი სკოლა-ინტერნატების მიერ აღზრდილი კადრებით იყო დაკომპლექტებული.



საჭიდაო დარბაზის გასახდელი და საშხაპე.

ალბათ ზედმეტი არ იქნება კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ სპორტული ინტერნატების შექმნის იდეა თბილისში დაიბადა. ეს იდეა ეკუთვნოდა ქართული სპორტის ამაგდარს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ გიორგი მერკვილაძეს. მის ჩანაფიქრს ჩვენს რესპუბლიკაში 1958 წელს შეეხსა ხორცი. პირველი ამ ტიპის ინტერნატი ნინოშვილის ქუჩაზე გაიხსნა. შემდეგ იგი სოფელ გლდანში გადაიტანეს. სასწავლებლის სრული სახელწოდება იყო გლდანის რესპუბლიკური საშუალო სპორტული სკოლა-ინტერნატი. მას ჰქონდა ორი საფეხბურთო მინდორი, ორი საჭიდაო დარბაზი, მძლეოსნობის მანეჟი და ველობოქსები. 1962 წელს იქვე ახლოს გაიხსნა მეორე, ახლა უკვე რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი, რომელიც 1967 წელს № 2 სპორტულ ინტერნატად გადაკეთდა. 1977 წელს სასწავლებლის სახელწოდებამ კვლავ განიცადა მცირეოდენი ცვლილება.



აი, როგორ იმუშავეს შეფებმა



ელინგის მიტოვებული მშენებლობა გლდანის დიდ ტბასთან



საძინებელი კორპუსის ერთი „ტიპობრივი" ოთახი

ამ ადგილიდან ინტერნატელებმა 6 მანქანა სამშენებლო ნარჩენები გაიტანეს

და აი, უკვე ათ წელზე მეტია, მას სპორტული პროფილის რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატად იხსენიებენ. 1984 წელს დაიხურა პირველი სკოლა-ინტერნატი და მასთან ერთად — სპორტული ბაზებიც. ეს მცირეოდენი ექსკურსი იმიტომ დაგვჭირდა, რომ დღეს ჩვენ ინტერნატს დაუჯერებლად მძიმე, შეიძლება ითქვას, აუტანელ პირობებში უხდება არსებობა. აქ მოხვედრილ კაცს, ალბათ, გაუჭირდება იმის დაჯერება, რომ ასეთ უწესრიგობაში მოზარდები სწავლობენ და ვარჯიშობენ.

თავი და თავი ამ უწესრიგობისა ჯერ საერთო გულგრილობა და შემდეგ ინტერნატის გაჭიანურებული რემონტია... სამწუხაროა, რომ ინტერნატში დანერგილი ცხრა სახეობიდან ოთხში მოსწავლეები დაქირავებულ ბაზებზე ვარჯიშობენ. ყოველწლიურად იჯარაში იმდენი ფული იხარჯება, რომ შეკრებილიყო, ერთი დიდი სპორტული კომპლექსი აშენდებოდა. დღემდე ისიც კი არ მოხერხდა, რომ სკოლის ნიჩბოსნებისთვის იქვე, ორ ნაბიჯზე მდებარე ტბაზე ვარჯიშის ნება დაერთოთ.

1985 წელს სადირექტივო ორგანოებმა ქალაქის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს დაავალა ინტერნატის ტერიტორიაზე მოეწყო ორი ფეხბურთის მოედანი, აეგო საჭიდაო და საჟატო დარბაზები, ამავე სამმართველოს დაევალა გაუქმებული სასადილოს ფიზიკური მომზადების დარბაზად გადაკეთება და ტერიტორიის კეთილმოწყობა. სამწუხაროდ, ეს ღონისძიება, მიუხედავად განათლების სამინისტროს მხრიდან არაერთგზის შეხსენებისა, ქალალდს არ გასცილებია. მიზეზად თანხების უქონლობას ასახელებდნენ.

საქმე კი დახანებას ვერ ითმენდა. სადირექტივო ორგანოებმა ინტერნატში საჭირო სამუშაოთა ჩატარება (შეფობის წესით) დაავალა საქმთავარმონტაჟმშენის მთავარ სამმართველოს (მმართველი გივი გამყრელიძე). მას სამუშაოთა წარმოება საკუთარი მოგებიდან უნდა უზრუნველეყო.

სკოლა-ინტერნატის დირექტორი ლევან ბოლქვაძე: „როდესაც ჩასატარებელი სამუშაოები გაანალიზეს, გივი გამყრელიძემ პირად საუბარში აღნიშნა, იმისთვის, რომ ინტერნატი ფეხზე დადგეს, 2-3 მილიონი მანეთი მაინც არის საჭიროო".

საქმთავარმონტაჟმშენის მთავარმა სამმართველომ საქმე დაუყოვნებლად დაიწყო. გარემონტდა საქვაბე. სპორტდარბაზში მთლიანად შეიცვალა იატაკი. გაიყვანეს საგენტილაციო ტრასები, კაპიტალურად შეკეთეს საკოლო შენობა, მეორე საძინებელი კორპუსის II და III სართულებზე დაგეს პარკეტი, შელებეს კარებები, შეიცვალა სანიტარული კვანძები, დამონტაჟდა ჰელიოგათბობის სისტემა და სელექტორები, რადიოკვანძი, დაიდგა განათების ანძები. ამ სამუშაოებს სულ 280 ათასი მანეთი დასჭირდა.

და აი, გასული წლის 20 დეკემბრიდან მუშაობა ისევ შეწყდა. მიზეზად კი იმას ასახელებენ, რომ საქმთავარმონტაჟსპეცმშენის მთავარი სამმართველო სამეურნეო ანგარიშზე ანუ თვითდაფინანსებაზე გადავიდა (?!).

ახლა ისიც ჩამოვთვალოთ, რაც გასაკეთებელი დარჩა. სასკოლო შენობის ფასადისა და შიგა (ნაწილობრივ) სამღებრო სამუშაოები, მეორე საძინებელი კორპუსის კაპიტალური რემონტის დამთავრება, თბოტრასების, განათების, კანალიზაციის, წყალმომარაგების სისტემათა შეცვლა. ანძებზე ელექტრონის სადენების გაყვანა. ორი საფეხბურთო მოედნის მოწყობა, საჟატო დარბაზის აშენება, ძველი სასადილოს გადაკეთება საერთო ფიზიკური მომზადების დარბაზად, ფარიკაობის დარბაზისა და საცურაო აუზის კაპიტალური შეკეთება, ეზო-გარემოს კეთილმოწყობა... როგორც ხედავთ, გასაკეთებელი ბევრჯერ აღემატება გაკეთებულს.

მოდით, წუთით პირველ საძინებელ კორპუსშიც შევიხედოთ, სადაც რემონტი, ჯერჯერობით მაინც, გეგმით არ არის გათვალისწინებული. ამ კორპუსს 1984-85 წლებში კაპიტალური რემონტი ჩაუტარა განათლების სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო უბანმა. კორპუსი, მართალია, გარემონტდა, მაგრამ ვაი, ამ რემონტს — არ გამოუცვლიათ გათბობის სისტემა, სანიტარულ კვანძებში არ მუშაობს ჩამრეცხი, ფანჯრებსა და კარებს მომძვრალი აქვს საკეტები, ხოლო შპალერი ყველა ოთახში ალაგ-ალაგ ახეულია... მშენებლობის დროს საძინებელ კორპუსში ოთახები „შეალამაზეს" თაბაშირის ფილებზე გადაკრული რეცხვადი შპალერით, რაც სამედიცინო თვალსაზრისით გაუმართლებელია. ნუთუ ძნელი იყო, კედლები შეეღებათ? ამ კორპუსის მნახველს ვერავინ დაგვჯერებს, რომ მშენებლებმა პატიოსნად იშრომეს.

ლევან ბოლქვაძე: „კიევში სპორტულ სკოლა-ინტერნატს 18 ჰექტარი ფართობი უკავია (ჩვენი 7 ჰექტარზეა გაშენებული). ინტერნატს აქვს ფეხბურთის სტადიონი, ორი წიდოვანი და ერთიც ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედანი. მძლეოსნობის მანეჟი, საცურაო აუზი, ფარიკაობისა და ტანვარჯიშის დარბაზები, ოთხი საუნა, სამედიცინო-აღდგენითი ცენტრი, ფეხბურთის დახურული მანეჟი (80X56), ექვსსართულიანი საერთო საცხოვრებელი და სხვ. იქ მოსწავლეებს ემსახურება ორი „იკარუსი", სხვადასხვა მარკის მანქანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ".

ინფორმაციისათვის: თბილისის რესპუბლიკურმა სკოლა-ინტერნატმა ოცდაათი წლის მანძილზე აღზარდა: მსოფლიო ჩემპიონები — მიხეილ სალაძე, ავთანდილ მაისურაძე, ზაურ ივანაშვილი, ჯემალ ბაკურაძე, თემურ ლეჟავა (კლასიკური ჭიდაობა), ვლადიმერ აფციაური (ფარიკაობა), ომარ ფხაკაძე (ველოსპორტი), კახაბერ ლომიშვილი (ნიჩბოსნობა ბაიდარებითა და კანოეებით); ევროპის ჩემპიონები: ზაზა თურმანიძე, ლევან ებანოიძე, ზაზა ტყეშელაშვილი, გია ივანიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), გელა ბერუაშვილი (ძიუდო), ვლადიმერ გოგოლაძე (ტანვარჯიში), რაინდი აბრამიშვილი (კლასიკური ჭიდაობა); ფეხბურთელები: მურთაზ ხურტილავა, ვახტანგ რეხვიაშვილი, შოთა ხინჩაგაშვილი, ვახტანგ კოპალეიშვილი, გია თავაძე, კარლო მჭედლიძე, დავით პაიკიძე, გია გურული, ლევან ბარათაშვილი, მალხაზ არზიანი, მერაბ თევზაძე, გიორგი ცაავა, გია იმნაძე, თემურ ქეცბაია, კობა ხარჩილავა; მძლეოსნები: მაია აზარაშვილი და გურამ გუდაშვილი.



საძინებელი კორპუსი № 2.



ველობოქსის სათავსი... საშხაპეში.

ჩვენი წერილი ისევ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენებით გვინდა დავამთავროთ. 1972 წელს იქ საქართველოს დელეგაცია ჩავიდა სპორტული ინტერნატების დასათვალიერებლად. მასპინძლებმა ერთ-ერთ ინტერნატში მისულ საპატიო სტუმრებს თავაზიანი უარი მოახსენეს — მეცადინეობა მიმდინარეობს და რეჟიმს ვერ დავარღვევთო....

ჯემალ კასრაძე.

P.S. რამდენიმე დღის წინ რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ სკოლა-ინტერნატში სამუშაოთა გასაგრძელებლად 160 ათასი მანეთი გამოყო.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა

17 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურის ხუთი მატჩი:

„შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“ 0:1

„დნეპრი“ — „სპარტაკი“ 0:0

„მეტალისტი“ — „ტორპედო“ 1:1

„კაირატი“ — „დინამო“ კ. 0:1

„ლოკომოტივი“ — „ზალგირისი“ 2:2

თბილისის დინამოელებმა გუშინ თავის მინდორზე მიიღეს ერევნის „არარატი“. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:1.

გუშინვე მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ბაქოს „ნეფთჩი“. მატჩის შედეგია 1:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

დუბლიორთა მატჩი

კვირას, 17 აპრილს, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი. თბილისის დინამოელები შეხვდნენ ერევნის „არარატს“.

მატჩი ფრედ დამთავრდა — 2:2, თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს გ. ჯიშკარიანმა (11-მეტრიანი) და ხურცილავამ.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა: ჭანტურია, ცვეიბა, თარბა, ცხადაძე, ფირცხალავა (ტყებუჩავა), გუბაზი, აფციაური (ნემსაძე), გ. ჯიშკარიანი (დიმიტრაშვილი), ქეცბაია, კოზლაშვილი, მესხი (ხურცილავა).

აღსანიშნავია, რომ თბილისელთა რიგებში პირველად ითამაშა გამოჩენილი ფეხბურთელის მურთაზ ხურცილავას ვაჟმა, 16 წლის გიორგი ხურცილავამ.

„კუბის თასიდან“ — თბილისის ტურნირზე

„კუბის თასის“ გათამაშება წყალბურთში, რომელიც ყოველწლიურად ჰავანაში იმართება, საკმაოდ პოპულარული საერთაშორისო ტურნირია. წლევანდელ ასპარეზობაზე მასპინძლებმა აშშ-ის, იტალიისა და მექსიკის ნაკრებ გუნდებთან ერთად მიიწვიეს თბილისის „დინამოს“ წყალბურთელები, რომლებიც შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების სახელით გამოდიოდნენ. ბუნებრივია, ასპარეზობაში ჩაებნენ მასპინძლებიც, რომლებმაც სარბიელზე ქვეყნის I და II ნაკრები გუნდები გამოიყვანეს.

შეჯიბრების მონაწილეთა ნაწილი „კუბის თასის“ გათამაშებას ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად მიიჩნევდა. ამიტომ მათ ოლიმპიური ნაკრები გამოიყვანეს. მათ შორის იყვნენ აშშ-ისა და იტალიის გუნდები, რომლებიც ჰავანაში ჩამოვიდნენ ფლორიდიდან, სადაც ასევე საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ და ჩვენი წყალბურთელების თქმით ისინი შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყვნენ.

საინტერესოა, რომ თბილისის „დინამო“ კუბაში საასპარეზოდ არაერთგზის მიუწვევიათ, მაგრამ ის შეხვედრები ამ ქვეყნის წყალბურთელებთან ამხანაგური ხასიათისა იყო, ახლა კი ოფიციალურ ტურნირში ქართველი წყალბურთელების მიწვევა ჩვენი გუნდისთვის დიდ პატივად, ერთგვარ აღიარებად უნდა ჩაითვალოს.

სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრებმა სამი შეხვედრა წააგო და მხოლოდ მექსიკელებთან იზეიმა გამარჯვება, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისელები ესოდენ ძლიერ გუნდებთან, რომელთა უმეტესობა მსოფლიო ელიტაში შედის, შეხვედრას არც ელოდნენ და მხოლოდ ჰავანაში ჩასვლის მერე გაიგეს, თუ ვისთან უნდა ჰქონოდათ საქმე.

საბოლოოდ „კუბის თასი“ იტალიის ნაკრებმა მოიპოვა. მეორე ადგილზე გავიდა მასპინძელთა პირველი ნაკრები, მესამეზე — აშშ-ის გუნდი. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: კუბის მეორე ნაკრები, საქართველოსა და მექსიკის გუნდები.

ახლა ჩვენი გუნდი ემზადება თბილისის საერთაშორისო ტურნირისათვის, რომელიც 26 აპრილს ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში დაიწყება. შეჯიბრებაში გამოვლენ ავსტრალიის, ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის, სსრ კავშირის პირველი და მეორე, აგრეთვე უნგრეთის ნაკრები გუნდებიც.

მასპინძლები ამ ტურნირის არაერთგზის პრიზიორები არიან და ისინი ახლაც საპატიო კვარცხლბეკს უმიზნებენ. ისიც უნდა ითქვას, რომ თბილისის საერთაშორისო ტურნირს სპეციალისტები ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების პრიზმაში განიხილავენ და ამდენად, წყალბურთის მოყვარულებს მეტად საინტერესო შეხვედრები ელით.

I ლიგა

16 აპრილს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების III ტურის მატჩები.

საქართველოს ორივე გუნდმა სტუმრად ჩაატარა ტურის შეხვედრები და ორივემ მარცხი იწვნია. ლანჩხუთის „გურიამ“ ორჯონიკიძეში წააგო „სპარტაკთან“ — 1:2, ხოლო ბათუმის დინამოელები—სტავროპოლში, ადგილობრივ თანაკლუბელებთან დამარცხდნენ — 0:1.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 2:1, ასკ (დონის როსტოვი) — „კოტაიკი“ (ამბოვიანი) 4:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) 1:2, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „პამირი“ (დუშანბე) 3:1, ცსკა — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 4:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 2:1, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:0, ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „დაუგავა“ (რიგა) 2:0.

IV ტურის მატჩებს საქართველოს გუნდები დღეს კვლავ სტუმრად გამართავენ: „გურია“ სტავროპოლში ითამაშებს „დინამოსთან“, ხოლო ბათუმელები ორჯონიკიძის „სპარტაკს“ შეხვდებიან.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	3	3	0	0	7-1	6
„დინამო“ სტ.	3	2	1	0	5-2	5
„პამირი“	3	2	0	1	8-4	4
„ტავრია“	2	2	0	0	2-0	4
„გეოლოგი“	3	2	0	1	4-3	4
„კუზბასი“	3	2	0	1	2-1	4
„როტორი“	3	2	0	1	4-4	4
„კოტაიკი“	3	2	0	1	4-6	4
„როსტსელ.“	3	1	1	1	5-4	3
„კოლოსი“	3	1	1	1	2-1	3
ასკ რ.	3	1	1	1	6-6	3
„ფახთაქორი“	3	1	1	1	4-4	3
„ყუბანი“	3	1	1	1	3-3	3
„სპარტაკი“	3	1	1	1	4-5	3
ასკ „კარპატი“	3	1	0	2	4-4	2
„შინიკი“	2	1	0	1	2-2	2
„გურია“	3	1	0	2	3-4	2
„ზვეზდა“	3	0	2	1	1-2	2
„ზარია“	3	0	1	2	2-5	1
„დაუგავა“	3	0	1	2	1-4	1
„მეტალურგი“	3	0	1	2	0-5	1
„დინამო“ ბ.	3	0	0	3	0-3	0

საქართველოს პირველობა

16 და 17 აპრილს გამართული მორიგი ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: „არმაზი“ (მცხეთა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:2, „ქართელი“ (გორის რ-ნი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:1, „დინამო“ (გაგრა) — „სულორი“ (ვანი) 1:2, „საღლინო“ (გეგეჭკორი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:2, „მეშახტე“ (ტყიბული) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:0, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „ივერია“ (ხაშური) 1:1, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:1, „კოლხეთი“ (ხობი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:1, „ეგრისი“ (ცხაკაია)— „დინამო“ (ზუგდიდი) 0:0, „სკური“ (წალენჯიხა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:1, „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 2:1.

„ბაზეტა დელო სპორტში“

(იტალია) დაიბეჭდა ინტერვიუ ზბიგნევ ბონეკთან, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს მერმისს გამოეთხოვოს ფეხბურთს. მაგრამ იტალიელი მიმომხილველის აზრით არ არის გამორიცხული, რომ პოლონელმა შეცვალოს გადაწყვეტილება და სათამაშოდ შვეიცარიის რომელიმე გუნდში გადავიდეს, საქმისაა, რომ 32 წლის ფეხბურთელზე შვეიცარიის რამდენიმე კლუბი „ნადირობს“.

აქამდე ასე იყო ცნობილი: აფრიკის სუკეთესო ფეხბურთელი, ალჟირელი რაბაჰ მაჯერი მომავალი წლიდან მიუხვნენს „ბაიერნში“ ითამაშებს. ალჟირის გაზეთ „ელ ჰადეკის“ აზრით ადვილი შესაძლებელია მაჯერი სეერთოდ არ მოხვდეს გფრ-ში. მას შემდეგ, რაც



იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ნება დართო კლუბებს სამ-სამი უცხოელი მოთამაშის შეძენაზე, მილანის „ინტერს“ აღიძრა სურვილი გადაიბიროს მაჯერი. ეს კი იტალიელებს, მოგეხსენებათ, ეხერხებათ. ჯერჯერობით კი მაჯერი, როგორც ცნობილია, „ვალენსიაში“ გამოდის“.

არგენტინულ ჟურნალ „ელ გრაფიკოს“ ცნობით ურუგვაელი ენცო ფრანჩესკოლი მომავალი წლიდან იტალიელ ფეხბურთელ ალბერტო ბიანჩედის ადგილს ინტერის „იუვენტუსში“ გამოვა. მის ადგილს პარიზის „რესინგში“ შვეიცარიის „სიონის“ ყოფილი მაროკოელი ფეხბურთელი აზიზ ბუდერბალა დიკავებს.

როგორც ცნობილია, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი ავსტრიის ნაკრები იქნება. გასულ კვირას ავსტრიელები საბერძნეთში ადგილობრივ ნაკრებს შეხვდნენ და მატჩი ფრედ (2:2) დაამთავრეს. ავსტრიელთა შემადგენლობაში თამაშობდნენ: ლინდენბერგერი („ლინცერი“), ზაკი („აუსტრია“), ვებერი („რაპიდი“), პეფეფერი („აუსტრია“), ბრაუნედერი („რაპიდი“), არტნერი („ადმირა“), შოტელი („რაპიდი“), ჰერცო�ა („ვიენა“), ვილფურტი („რაპიდა“), შახნერი („აველინო“), როდაქსი („ადმირა“).

(საკ. ინფორმაცია).

როცა უძლიერესი ცნობილია

(დასასრული)

ლოვას სძლია, XI ტურში კი თანაქალაქელ ფირუზა ველიხანლის დაუზავდა.

ბოლო ტურებში არასტაბილურად თამაშობს სამტრედიელი სოფიკო ტერელაძე. ახლაც, X ტურში მან ჯერ უკრაინელ მარია ერმოლინსკაიას მოუგო, შემდეგ კი აზერბაიჯანელ ნიგენ სულთანოვასთან დამარცხდა. სულთანოვას აქამდე მხოლოდ ერთი ქულა ჰქონდა (2 ყაიმი) და ამიტომაც უფრო საწყენია ქართველი ოსტატის წაგება.

ამ ტურების სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: **X ტური:** სკუინიალანჩავა — 1:0, ჯანჯღავა-ბელაკოვსკაია — 0,5:0,5, დომარკაიტე-დიომინა — 0:1; **XI ტური:** დიომინა-ერმოლინსკაია — 0,5:0,5, ბელაკოვსკაია-ლევიტანი — 1:0, ლანჩავაჯანჯღავა — 1:0. გადაიდო სოკოლოვა-სკუინიას შეხვედრა.

ამრიგად, XI ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის პირველ ნაწილში ასეთი მდგომარეობაა: კახიანი — 9,5 ქულა, სოფიევა — 7,5, დომარკაიტე — 7, ტერელაძე, დიომინა, ბელაკოვსკაია — 6-6.

16 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო პირველობის ერთადერთი საგზურისთვის ბრძოლაში წინ კვლავ ტერელაძეა — 6 ქულა. 5 ქულით II ადგილზეა ლევიტანი, შემდეგ მოდიან ლანჩავა — 4,5, ჯანჯღავა — 4, სულთანოვა — 2.

ბორჯომში კი გრძელდება 21 წლამდე ასაკის ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი.

პირველ ორ შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ თავის აქტივს მხოლოდ ნახევარი ქულა მიუმატა თბილისელმა ოსტატმა ლაშა ჯანჯღავამ. V ტურში იგი დაუზავდა ერევნელ ვლადიმერ აკოფიანს, VI ტურში კი მაქსიმ სოროკინთან (მოსკოვის ოლქი) დამარცხდა. გავაცნობთ ამ ტურების სხვა შეხვედრათა შედეგებს. **V ტური:** დრეევი-ულიბინი — 1:0, სოროკინი-შიროვი — 0,5:0,5, კომაროვი-ხენკინი — 0,5:0,5, სმირნინ-შჩერბაკოვი — 0,5:0,5; **VI ტური.** ხენკინი-სმირნინი — 0:1, შიროვი-კომაროვი — 1:0, ულიბინი-აკოფიანი — 0,5:0,5, კამსკი-დრეევი — 0:1.

6 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: ალექსეი დრეევი (მოსკოვის ოლქი), ალექსეი შიროვი (რიგა) — 4,5-4,5 (6-დან), მაქსიმ სოროკინი — 4 (6-დან), ვლადიმერ აკოფიანი — 3 (6-დან), ლაშა ჯანჯღავა, გატა კამსკი (ლენინგრადი), ილია სმირნინი (მინსკი) — 2,5-2,5 (5-დან).

საერთაშორისო ფეხბურთი: ფილიგანი, ცხრილები

ბაიმართა ევროპის ქვეყნების. საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

გფრ

27-ე ტური. „ჰომბურგი“ — „კიოლნი“ 1:0, „ნიურნბერგი“ — „აინტრაჰტი“ (ფრანკფურტი) 1:1, „ბორუსია“ (დორტმუნდი) — „ჰანოვერი“ 3:3, „ბაიერნი“ — „შალკე 04“ 8:1, „ბაიერი“ (უერდინგენი) — „ბოხუმი“ 3:1, „ჰამბურგერ“ სვ“ — „ბორუსია“ (მიონჰენგლადბახი) 2:1, „მანჰეიმი“ — „ვერდერი“ 0:1, „შტუტგარტი“ — „კაიზერსლაუტერნი“ 3:0, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „კარლსრუე“ 0:0.

	თ.	ბ.	ქ.
„ვერდერი“	27	50-15	43
„ბაიერნი“	27	68-35	39
„კიოლნი“	27	44-22	37

პოლანდია

30-ე ტური. „ტვენტე“ — „გრონინგენი“ 2:1, „ეინდჰოვენი“ — „ალკმაარი“ 1:0, „უტრეჰტი“ — „ჰარლემი“ 2:0, „ჰააგი“ — „ცვოლე“ 2:1, „აიაქსი“ — „ტილბურგი“ 3:1, „სიტარდი“ — „ფეიენოორდი“ 1:2, „ვოლენდამი“ — „ვენლო“ 2:3, „სპარტა“ — „დენ ბოში“ 3:1, „დორდრეჰტი“ — „როდა“ 4:4.

„ეინდჰოვენი“	30	106-23	54
„აიაქსი“	30	71-34	46
„ტვენტე“	30	62-36	35

იტალია

25-ე ტური. „ასკოლი“ — „იუვენტუსი“ 1:1, „კომო“ — „აველინო“ 0:0, „ფიორენტინა“ — „პიზა“ 0:0, „მილანი“ — „ემპოლი“ 1:0, „ნაპოლი“ — „ინტერი“ 1:0, „რომა“ — „სამპდორია“ 0:2, „ტორინო“ — „პესკარა“ 2:0, „ვერონა“ — „ჩეზენა“ 0:1.

„ნაპოლი“	25	48-15	41
„მილანი“	25	35-11	37
„რომა“	25	36-21	33

ინგლისი

38-ე ტური. „საუთჰემპტონი“ — „არსენალი“ 4:2, „უოტფორდი“ — „ოქსფორდი“ 3:0, „შეფილდი“ — „ლუტონ თაუნი“ 2:2, „ნიუკასლი“ — „ქუინს პარკი“ 1:1, „ჩელსი“ — „დერბი ქაუნთი“ 1:0, „ქოვენთრი“ — „პორტსმუტი“ 2:1, „ევერტონი“ — „უიმბლდონი“ 2:1. გამოტოვებული მატჩი: „ჩარლტონ ატლეტიკი“ — „ქოვენთრი“ 0:0.

„ლივერპული“	33	73-20	77
„მანჩესტერ იუნ.“	35	58-35	66
„ევერტონი“	35	48-22	64

საფრანგეთი

31-ე ტური. „მონპელიე“ — „სენტ ეტიენი“ 5:0, „ტულუზა“ — „ნანტი“ 0:1, „ნიორი“ — „ნიცა“ 0:0, „ლე ჰავრი“ — „მეცი“ 1:1, „ლუნი“ — „ოსერი“ 2:1, „ბორდო“ — „ტულონი“ 3:0, „კანი“ — „ლილი“ 1:5, „მონაკო“ — „ბრესტი“ 2:0, „მარსელი“ — „ლავალი“ 2:1, „სენ-ეერმენი“ — „რესინგი“ (პარიზი) 1:1.

„მონაკო“	31	44
„ბორდო“	31	39
„რესინგი“	31	37

ბელგია

28-ე ტური. „ბეერსკოტი“ — „მეხელენი“ 0:1, „ვარეგემი“ — „რუსინგი“ (ბრიუსელი) 0:0, „ვინტერსლაგი“ — „ანტვერპენი“ 0:0, „გენტი“ — „ანტვერპენი“ 1:1, „ბეეერენი“ — „სტანდარდი“ 1:0, „ანდერლეჰტი“ — „სერკლ“ (ბრიუგე) 2:0, „ფკ ბრიუგე“ — „სენტ ტრიუდენი“ 2:1, „ლიეჟი“ — „ლოკერენი“ 3:0, „მოლენბეკი“ — „მარლერუა“ 0:0.

„ფკ ბრიუგე“	28	42
„ანტვერპენი“	28	42
„მეხელენი“	28	41

შვეიცარია

ფინალური ჯგუფი. VI ტური. „გრასჰოპერსი“ — „ლოზანა“ 3:1, „სერვეტი“ — „არაუ“ 1:5, „ლიუცერნი“ — „სენტ გალენი“ 0:0, „ცსკა-მაქსი“ — „იანგ ბოისი“ 3:2. „ცსკა-მაქსი“ — 25 ქულა, „გრასჰოპერსი“ — 20 ქულა, „არაუ“ — 19 ქულა.

ბულგარეთი

23-ე ტური. „ლოკომოტივი“ (სოფია) — „ორიახოვიცა“ 3:1, „პერნიკი“ — „სლავია“ 1:1, „პლევენი“ — „ჩერნომორეცი“ (ბურგასი) 1:2, „ჩერნო მორე“ (ვარნა) — „თრაკია“ 0:0, „ვრაკა“ — „სრედეეცი“ 1:1, „ეტირი“ — „პირინი“ (ბლაგოევგრადი) 1:1, „ვიტოშა“ — „სლოვენი“ 3:0, „ლოკომოტივი“ (ცლოვდივი) — „სტარა ზაგორა“ 1:2.

„ვიტოშა“	23	37
„სრედეეცი“	23	34
„თრაკია“	23	29

(საკ. ინფორმაცია).

ჩეხოსლოვაკიელთა ახალი მწვრთნელი

ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ნაკრებმა წარუმატებლად ითამაშა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, რის გამოც ნაკრების ხელმძღვანელმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა იოზეფ მასოპუსტმა თავისი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას განცხადებით მიმართა გადადგომის თაობაზე.

ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ დააკმაყოფილა ი. მასოპუსტის თხოვნა და თავისი ახალი არჩევანი იოზეფ ვენგლოშზე შეაჩერა.

ი. ვენგლოში პირველად არ ხელმძღვანელობს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს, კერძოდ, იგი გუნდს სათავეში ედგა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, შემდეგ პორტუგალიაში წვრთნიდა ლისაბონის „სპორტინგს“, მერე კი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ექსპერტის მოვალეობას ასრულებდა მსოფლოს სხვადასხვა ქვეყანაში.

რინგზეც არიან ჭაბუკი ოსტატები

ახლა აღარავის აკვირვებს, რომ ნორჩ ტანმოვარჯიშეებს, წყალში მხტომელებს, მოცურავეებს, ფიგურისტებს, მცირე ასაკის მოუხედავად, საკმაოდ მაღალი მიღწევები აქვთ, რაც ამ სახეობების „გაახალგაზრდავებითაა“ განპირობებული. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა კრივი, სადაც, იყო დრო, სპორტის ოსტატის წოდების მოსაპოვებლად, სულ ცოტა სსრ კავშირის პირველობის ფინალისტი უნდა ყოფილიყავი ან ორჯერ ზედიზედ მესამე საპრიზო ადგილი მოგეპოვებინა... ახლა ასეთი მკაცრი მოთხოვნები აღარ არის, მაგრამ ამ წოდების მისაღებად იმავე მოზარდმა თანატოლთა საკავშირო პირველობა უნდა მოიგოს, რაც აგრეთვე მეტად პრესტიჟული წარმატებაა. ამიტომაც ჭაბუკ ჩემპიონს სპორტის ოსტატობაც ენიჭება. სპორტის ოსტატია თბილისელი ა. გევორქიანი. შარშან 15 წლის ჭაბუკმა ლვოვის საკავშირო ჩემპიონატში ტოლი არავის დაუდო, პირველობა და ოსტატობა ერთდროულად მოიპოვა.

ამ დღეებში ა. გევორქიანი 1972-73 წლებში დაბადებულ ჭაბუკ მოკრივეებთან ერთად თბილისში არანაკლებ პრესტიჟულ ასპარეზობაში მონაწილეობდა. ეს იყო დავით კვეჭაძის სახელობის საკავშირო ტურნირი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის 217 ნორჩი სპორტსმენი გამოდიოდა. რა თქმა უნდა, მონაწილეთა ასეთი სამრავლის დროს მომზადების დონე თანაბარი არ იქნებოდა. ამის გამო იყო უღიმღამო, არაფრით დასამახსოვრებელი შეხვედრებიც, მაგრამ როცა ამ ასაკის მოკრივე საკავშირო ტურნირის. მონაწილე ხდება, ის უკვე საკმაო გამოცდილებას იძენს, რაც მომავალ წარმატებათა საწინდარია. მონაწილეთა ასეთი სარეკორდო რაოდენობა თუნდაც ამ მხრივ იყო გამართლებული.

განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა ტურნირის ფინალი. მისდამი ინტერესი ვერც იმან შეანელა, რომ ზოგიერთ წონაში, უფრო კი 50 კგ-იდან მოყოლებული, ფინალური ბრძოლების მონაწილენი ორ ჯგუფად დაიყვნენ. ეს იმან განაპირობა, რომ, როგორც ითქვა, მონაწილენი ბლომად იყვნენ, ასპარეზობის დებულებით კი ამ ასაკში ზედიზედ მხოლოდ 4 ბრძოლის ჩატარება შეიძლება. ამიტომ ამ წონებში ყველას ერთმანეთთან შეხვედრა ვერ მოხერხდა. გადამწყვეტი ბრძოლები იმითაც იყო საინტერესო, რომ მისი „გეოგრაფიაც“ საკმაოდ შთამბეჭდავი გახლდათ. აქ იყვნენ ტიუმენის, ლენინგრადის, პიატიგორსკის, კიროვაკანის, აგრეთვე სოხუმის, ფოთის, ქუთაისის, ჭიათურის, გორის, რუსთავისა და თბილისის წარმომადგენლები.



კარგი მომზადებით გამოირჩეოდნენ პირველი ბრძოლების მონაწილენი. თბილისელმა ვ. კაზაკოვმა (44 კგ) ოსტატურად სძლია კიროვაკანელ დ. ავეტიქიანს, ხოლო ვ. ლუკიანოვმა (46) დაამარცხა სოხუმელი ვ. ილინი. განსაკუთრებით უნდა ითქვას სპორტის ოსტატ გევორქიანისა და ფოთელი პ. გვასალიას ორთაბრძოლაზე. ეს იყო ორი თანაბარი ძალისა და, ამავე დროს განსხვავებული სტილის მოკრივის შერკინება. სასიამოვნო ის იყო, რომ ფოთელი მოკრივე არ შეუშინდა მოწინააღმდეგის მაღალ ტიტულებს, მას საგრძნობი უპირატესობაც ჰქონდა ახლო ბრძოლაში, მაგრამ გამოცდილმა თბილისელმა ალღო აუღო მეტოქეს, შორი მანძილიდან უტევდა და გამარჯვებასაც ამ გზით მიაღწია. შორი მანძილიდან დარტყმებზე ააგო ბრძოლა თბილისელმა შ. დუმბაძეკაც (57) თანაქალაქელ ს. ურუსოვთან. იგი მოხდენილად ურტყამდა მარცხენა პირდაპირს, რისი წყალობითაც ახლოს არ მიუშვა მეტოქე და გაიმარჯვა კიდეც.

დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს გორელმა ზ. ელოზიშვილმა (50), თბილისელებმა მ. ფაროიანმა (50), ა. უსუპიანმა (52), ხ. მამედ-ზადემ (54), მ. წიკლაურმა (73), ჯ. წიკლაურმა (66), ი. მელქონიანმა (85), ნ. ჩერნიშოვმა (+85), სოხუმელებმა ი. ტროკსამ (52), ს. ხუჯოიანმა (54), ქუთაისელებმა ზ. ჯავახაძემ (57), ა. კაკაურიძემ (70), რუსთაველმა ი. ბაირამოვმა (63) ჭიათურელმა გ. ცაბალოვმა (74), ფოთელმა ა. სარსანიამ (79), კიროვაკანელმა ი. საროიანმა (60), ტიუმენელმა პ. მიცაკმა (60).

დაბოლოს, ტურნირის მასპინძლები, აქაური მწვრთნელები, რატომღაც ძალზე მტკივნეულად განიცდიდნენ სტუმართა გამარჯვებას. ეს თითქოს მათ პრესტიჟს ამცირებდა. ვფიქრობთ, რაც უფრო მეტი სტუმარი მოიპოვებს დ. კვეჭაძის ტურნირში გამარჯვებულის სახელს, მით უფრო პოპულარული გახდება ეს ასპარეზობა იმავე ტიუმენში, პიატიგორსკში, ლენინგრადში თუ სხვაგან...

ᲣᲨᲐᲜᲒ ᲫᲘᲫᲘᲜᲐᲫᲔ.

ᲩᲔᲚᲔᲩᲘᲐᲜᲘ — ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲘᲒᲚᲘᲗᲔᲑᲘ

ნიცა. „გრან-პრის“ პროგრამით გათვალისწინებულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში ნახევარფინალი (გადაულახავი ზღუდე გამოდგა საბჭოთა ჩემპიონის ა. ჩესნოკოვისთვის. მეოთხედფინალში ჩეხოსლოვაკიელ კ. ნოვაჩეკთან გამარჯვების შემდეგ (7:5, 6:1) იგი ფრანგ ა. ლეკონტთან დამარცხდა (6:4, 5:7, 3:6).

პრაღა. დამთავრდა 18 წლამდე ჰოკეისტთა ევროპის ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრები ბოლო ტურში დამარცხდა ფინეთის გუნდთან — 2:3 და ბრინჯაოს მედლებს დასჯერდა. ვერცხლის ჯილდო ფინელებს ხვდათ, ჩემპიონის სახელი კი ჩეხოსლოვაკიელებმა მოიპოვეს, რომლებმაც ამ დღეს შვედები დაამარცხეს — 6:2.

მეხიკო. ტყვიის მსროლელთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში („ბენიტო ხუარესი“) გუნდური პირველი ადგილი საბჭოთა სპორტსმენებმა დაიკავეს, რომლებსაც 9 ოქროს, 2 ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი ხვდათ წილად. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აშშ-სა და ბულგარეთის მსროლელები.

ᲙᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘᲐᲜᲘ (ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ). ბადმინტონისტ ვაეთა შორის ევროპის ჩემპიონის ტიტული პირველად მოიპოვა ინგლისელმა სპორტსმენმა. ეს შეძლო 16 წლის დარელ ჰოლმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა კონტინენტის მრავალგზის ჩემპიონი მორტენ ფროსტი (დანია) 8:15, 15:12, 15:9. ქალებში უძლიერესი იყო კრისტენ ლარსენი, ვაეთა წყვილებში — იენს ნირჰოფი და მიჰაელ კიელდსენი, ქალთა დუეტებში — დორტე კიუერი და ნეტი ნილსენი (ყველა — დანია), გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დანიელებს ხვდათ წილად. საბჭოთა ბადმინტონისტები მეოთხე ადგილზე გავიდნენ.

ბერლინი. სოციალისტური ქვეყნების დედაქალაქების თასი წყალქვეშა ცურვაში მოიგო საბჭოთა ნაკრებმა. ჩვენი გუნდის წევრებმა 24 დისტანციიდან ოცდაერთზე საუკეთესო შედეგი აჩვენეს.

ბონი. „შვიდთა ტურნირი“ — ასე ეწოდება დაშნით მოფარიკაკეთა საერთაშორისო შეჯიბრებას, რომელიც წლეულს მეთოთხმეტედ ჩატარდა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და იტალიის სპორტსმენები. ანგარიშით 9:7 გაიმარჯვეს იტალიელმა მოფარიკაკეებმა.

ჩელიაბინსკი. საბჭოთა კავშირის ანსოლუტური ჩემპიონები ტანვარჯიშში გახდნენ ოლგა სტრაეევა და დმიტრი ბილოზერჩევი. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო 15 წლის ზაპოროჟიელი მოსწავლის სტრაეევას გამარჯვება, რომელმაც ბევრი ტიტულოვანი სპორტსმენი ჩამოიტოვა.

მოსკოვი. მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას“ პრიზზე მოიგო 18 წლის მსოფლიო ჩემპიონმა, ომსკელმა ტატიანა დრუჩინინამ. მეორე ადგილი ტაშკენტელ მარინა ნიკოლაევას ერგო.

„სპორტლოტო“

ᲒᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი, მეთექვსმეტე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-იდან: 6 (ძიუდო), 9 (საგზატკეცილო ველოსიპედობა), 17 (ციგურაობა), 18 (მძლეოსნობა), 21 (ცურვა), 37 (აკრობატიკა).

„სპორტლოტო 5 36“-იდან: 2 (ბიატლონი), 11 (ფრენბურთი), 21 (ცურვა), 33 (ფეხბურთი), 34 (ბალახის ჰოკეი).

საბედისწერო ნახევარფინალები

ტოკიო. როგორც ვიუწყებოდით, აქ დამთავრებულ ჩოგბურთელთა დიდ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა სპორტსმენთაგან ვერავინ მიაღწია ფინალს, პირად ჩათვლაში ყველაზე უკეთ მაინც თბილისელი ლეილა მესხი გამოვიდა, რომელიც ნახევარფინალში დამარცხდა. სხვები უფრო ადრე გამოეთიშნენ გათამაშებას.

ნახევარფინალი საბედისწერო საფეხური აღმოჩნდა ჩვენი წყვილებისთვისაც. ლეილა მესხმა და სვეტლანა პარხომენკომ ყველა წინასწარი შეხვედრა მოიგეს, ნახევარფინალში კი ამერიკელთა დუეტს (ლი ანტონოპლისი — ბარბარა ჯერკენი) შეხვდნენ და დამარცხდნენ — 3:6, 5:7.

ნახევარფინალში დათმო თავისი უფლებამოსილება მეორე საბჭოთა წყვილმაც — ლარისა სავჩენკომ და ნატალია ზვერევამ, რომელზეც საბჭოთა სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებდნენ. ჩვენი დუეტი აქაც ამერიკელებთან — ჯიჯი ფერნანდესთან და რობინ უაიტთან დამარცხდა — 6:7, 6:1, 5:7.

პირველი გამარჯვება... მეცამეტე ტურში

ბრიუსელში (ბელგია)) დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკე ვაეთა „მსოფლიო თასის“ გათამაშების პირველი ეტაპი. შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტურით ადრე წინ კვლავ ანატოლი კარპოვია, რომელსაც 13 შესაძლებლიდან 9 ქულა აქვს. ვალერი სალოვმა 8 ქულა მოაგროვა (13-იდან). III–IV ადგილებს იყოფენ ალექსანდრე ბელიავსკი და ჯონ ნანი (ინგლისი) — 7,5-7,5 ქულა (12-12 შეხვედრიდან). აღსანიშნავია, რომ XIII ტურში პირველი გამარჯვება იზეიმა შვედმა ულფ ანდერსონმა (დაამარცხა შვეიცარიელი ვიქტორ კორჩნოი), რომელსაც მანამდე თორმეტი ყაიმი ჰქონდა და ერთგვარი რეკორდისკენ „მიისწრაფოდა“.

აპარტეიდის წინააღმდეგ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა იმ სპორტსმენთა სია, რომლებიც გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებათა მიუხედავად განაგრძობენ კონტაქტს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან. ამ სიაში 2500-მდე გვარია შეტანილი.

როგორც გამოქვეყნებული სიის შესავალშია აღნიშნული, სპორტში აპარტეიდის წინააღმდეგ გამართულმა საერთაშორისო კამპანიამ 1987 წელს საგრძნობ პროგრესს მიაღწია. მართალია, რასისტული პრეტორია სულ უფრო მეტ თანხებს გამოჰყოფს მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა მოსაწვევად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ჩამსვლელთა რაოდენობა წლითი წლობით მცირდება. გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ჩოგბურთელები და გოლფის მოთამაშეები.

ამ სიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით გამართულ პრესკონფერენციაზე აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრის დირექტორმა ს. მუსორისმა აღნიშნა, რომ აპრილის დასაწყისში მიღებულ საერთაშორისო კონვენციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან იგი, ფაქტიურად, გამორიცხავს რასისტულ რეჟიმებთან ნებისმიერ კონტაქტებს. დღისათვის ამ კონვენციას 70-ზე მეტმა ქვეყანამ მოაწერა ხელი. თავიანთი პოზიცია არ გამოუცვეთიათ ჯერჯერობით დასავლეთის სხვადასხვა წამყვან ქვეყნებს.

სისწრაფის რეკორდები

ლეზ-არკი (საფრანგეთი). სისწრაფის აბსოლუტური რეკორდების რეგისტრაცია მეტწილად სპორტის ტექნიკურ სახეობებში ხდება, მაგრამ ბოლო დროს ამ სახეობათა საქმით მოთხილამურეებიც დაინტერესდნენ.

ორიოდე წლის წინათ მონაკოელმა მიშელ პრუუვემ კილომეტრიან დისტანციაზე სწრაფდაშვებაში (სვლით) ფანტასტიკური სისწრაფე განვითარა — 217,008 კილომეტრი საათში. სპეციალისტები თვლიდნენ, რომ ამ რეკორდის გაუმჯობესება სპორტსმენის სიცოცხლისათვის საშიში იქნებოდა, მაგრამ იმავე პრუუვემ ეს ვარაუდი გააბათილა. ამ დღეებში საფრანგეთის ალპებში გამართულ შეჯიბრებაზე მისმა სისწრაფემ საათში 223,741 კილომეტრს მიაღწია და თავისივე მსოფლიო რეკორდი საგრძნობლად გაუმჯობესა.

რეკორდი გაუმჯობესდა ქალთა შეჯიბრებაშიც. ფინელმა სამთო-მოთხილამურემ ტარია მულარომ ამავე მანძილზე 214,413 კმ აჩვენა. ძველი მსოფლიო რეკორდი ფრანგ ქალს ბლანკს ეკუთვნოდა (201,005 კმ. სთ).

კანზასისა და მანინგის ტრიუმფი

ამერიკის შეერთებულ შტატებში სტუდენტ კალათბურთელთა ჩემპიონატი ისეთივე დიდ ინტერესს იწვევს, როგორც ნბა-ს პირველობა. ამიტომაც ტელევიზია, პრესა ნკაა-ს (ნაციონალური კოლეჯების ათლეტური ასოციაცია) ჩემპიონატს არანაკლებ დიდ ყურადღებას უთმობს, ვიდრე ნბას ჩემპიონატს.

სტუდენტთა ჩემპიონატი მრავალსაფეხურიანია, რომლის ჭეშმარიტი გვირგვინი გაბლავთ დიდი ოთხეულის ტურნირი, რომელსაც წლეულს კანზას-სიტი მასპინძლობდა. ეს ფინალური აკორდი ნამდვილი საერთო ეროვნული დღესასწაულის ელფერს იძენს.

მერვედფინალური მატჩებიდან გამოვყოფდით კანზასის უნივერსიტეტის გამარჯვებას ვანდერბილტის უნივერსიტეტთან, კანზასელთა წარმატებას დიდად შეუწყო ხელი დანი მანინგის (38 ქულა) ბრწყინვალე თამაშმა. მეოთხედფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს აგრეთვე არიზონამ, ჩრდილოეთ კაროლინამ, ოკლაჰომამ, დიუკემ, კანზას შტატმა, ვილანოვამ და ტემპლემ.

ამ ეტაპზე კანზასმა დაამარცხა კანზას შტატი — 71:58. დანი მანინგმა გუნდს შესძინა 20 ქულა. სხვა მატჩების შედეგები ასეთია: ოკლაჰომა-ვილანოვა — 108:80. პრინზონა-ჩრდილოეთ კაროლინა — 70:52, დუკე-ტემპლე — 72:47.

ნახევარფინალში კანზასმა სძლია დუკეს — 66:59 (38:27). ფაქტიურად მატჩის ბედი შეხვედრის დასაწყისში გადაწყდა, როდესაც კანზასი დაწინაურდა — 14:0. კვლავ საუცხოოდ ითამაშა დანი მანინგმა. მან გუნდს შესძინა 25 ქულა. 10-ჯერ დაეფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს და გააკეთა 10 ბლოკირება, რომელიც დამთავრდა ზუსტი სროლით. დამარცხებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო დანი ფერი (19 ქულა). მეორე ნახევარფინალურ მატჩში ოკლაჰომამ სძლია არიზონას 86:78 (39:27).

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ კანზასი და ოკლაჰომა. რამდენიც არ ეცადა ოკლაჰომას მწვრთნელი ბილ ტუბსი მოეძებნა მანინგის ნეიტრალიზების საშუალება, მაინც ამაოდ დაშვრა. სწორედ მანინგის (31 ქულა) ბრწყინვალე თამაში იყო ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა მისი გუნდის ძნელი გამარჯვება — 83:79.

აშშ-ს ნაკრების მწვრთნელმა ჯონ ტომპსონმა განაცხადა, რომ მანინგი ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05298

რედაქტორი
თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.